# ბრძანება № 1-70

20 09 2021წ.

გორი

**სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მისაღები გამოცდის ვადების, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (20.09.2021. N949755) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადად 21-23 სექტემბერი.

2. განისაზღვროს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ბ) ფოტოსურათი (¾) და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია CD-ზე;

გ) ბაკალავრის /მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (დედნის წარმოდგენით) ან ცნობა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;

დ) ცნობა საგნის კომპეტენციის დადასტურების შესახებ, ხოლო მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში – საგნობრივი კომპეტენციების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების შემთხვევაში).

3. განისაზღვროს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ვადები შემდეგი სახით:

ა) გამოცდა - 24 სექტემბერი (11 საათი);

ბ) გამოცდის შედეგების გამოცხადება - 27 სექტემბერი;

გ) გამოცდის შედეგების გასაჩივრება - 28 სექტემბერი;

დ) საბოლოო შედეგების გამოცხადება - 29 სექტემბერი;

ე) ხელშეკრულების გაფორმება – 30 სექტემბერი.

4. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გორგი სოსიაშვილი